შოკოლადის ბორცვები

გინახავს ისეთი უჩვეულო ადგილი ბუნებაში, რომელიც არასოდეს დაგავიწყდება? ამ ტექსტში ბუნების ერთ-ერთ ასეთ საოცრებას გაეცნობი.

ჩვენს პლანეტაზე ბევრი საოცარი ადგილია. სწორედ ასეთია ფილიპინების ერთ-ერთი კუნძული ბოჰოლი. კუნძულის საკმაოდ დიდ ფართობზე განლაგებულია 1268 ბორცვი. თითოეულის სიმაღლე 30-იდან 120 მეტრამდეა. ყველა ბორცვი ფორმით იმდენად ჰგავს ერთმანეთს, რომ ადამიანის მიერ შექმნილი გეგონება. ერთხელ, თურმე, აქაურობა ერთმა ტურისტმა შოკოლადს შეადარა. ფიქრობენ, რომ ამ ადგილს შოკოლადის ბორცვებს მას შემდეგ ეძახიან. მართლაც, როდესაც ბალახი ხმება, გორაკები შოკოლადის ფერს იღებს.

ბორცვების წარმოშობის შესახებ რამდენიმე **ლეგენდა** არსებობს. ერთი მათგანის მიხედვით, იმ ადგილებში ორი გოლიათი ცხოვრობდა. ისინი ბრძოლის დროს ერთმანეთს **ბელტებს** ესროდნენ. ხალხის რწმენით, სწორედ ის ბელტები შემორჩა გორაკებად დღემდე.

მეორე ლეგენდის გმირი გოლიათი არაგოა. მას ულამაზესი ქალი ალოია შეუყვარდა. გოლიათები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე ადამიანები. ამიტომ ალოია არაგოზე ადრე გარდაიცვალა. ქალის სიკვდილი გოლიათმა ძალიან განიცადა. ის დღე და ღამე ტიროდა. მისი ცრემლები თანდათან გაქვავდა. ასე გაჩნდა მსგავსი ფორმის ბორცვები.

მეცნიერთა ნაწილს მიჩნია, რომ ბორცვები მარჯნის რიფების **ნაშთებია**. მათი აზრით, ადრე ამ ადგილას ზღვა ყოფილა. შემდეგ ზღვა დაშრა და მარჯნის რიფები გორაკებად იქცა. ზოგი მეცნიერი ვარაუდობს, რომ გორაკები ვულკანის შედეგად წარმოიქმნა. როგორც ვხედავთ, **ზუსტად** არავინ იცის, საიდან ან როგორ გაჩნდა შოკოლადის ბორცვები. საბოლოო პასუხი ამ კითხვაზე ჯერ არ არსებობს.

შოკოლადის ბორცვები ბუნების საოცრებაა. სწორედ ამის გამო მოსწონს უამრავ ტურისტს კუნძული ბოჰოლი. აქაურები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ტურისტი **მიიზიდონ**. მათ ააშენეს მრავალი ლამაზი სასტუმრო, რესტორანი, საჩუქრების მაღაზია. ერთ-ერთ გორაკზე მოედანიც კი მოაწყვეს. იქიდან ლამაზი ხედების გადაღება შეიძლება. ასე რომ, მათ დასვენების ყველა პირობა შექმნეს კუნძულზე.

1988 წელს შოკოლადის ბორცვები იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა.

რატომ ითვლება შოკოლადის ბორცვები ბუნების საოცრებად?

კომპონენტი: ფაქტი, მოსაზრება **დონე:** 4.2

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1. რის შესახებ არის გამოთქმული <u>მოსაზრება</u> ტექსტის პირველ აბზაცში?

ა) ბორცვების ადგილმდებარეობის შესახებ.

ბ) ბორცვების ზომების შესახებ.

გ) ბორცვების სახელწოდების შესახებ.

2. რომელი წინადადება გადმოსცემს <u>ფაქტს</u>?

ა) შოკოლადის ბორცვები შესაძლებელია, რომ რიფების ნაშთებია.

ბ) შოკოლადის ბორცვები, ალბათ, ადამიანის ხელით შეიქმნა.

გ) შოკოლადის ყველა ბორცვი ფორმით ჰგავს ერთმანეთს.

3. რომელი წინადადება გადმოსცემს <u>მოსაზრებას</u>?

ა) ერთ-ერთი ბორცვიდან ხედების გადაღებაც კი არის შესაძლებელი.

ბ) უცნაური გორაკები, სავარაუდოდ, ვულკანის შედეგად წარმოიქმნა.

გ) შოკოლადის ბორცვები უამრავ უცხოელ ტურისტს იზიდავს.

4. ბოჰოლი იმიტომ მოსწონთ ტურისტებს, რომ:

ა) ამ კუნძულზე აშენდა საჩუქრების მაღაზიები.

ბ) ამ კუნძულზე ბუნების ერთ-ერთი საოცრებაა.

გ) ეს კუნძული ფილიპინების შემადგენლობაშია.

5. ტექსტში <u>*არ ჩანს*</u>:

ა) რა მოსაზრებები არსებობს ბორცვების წარმოშობის შესახებ.

ბ) როგორ ცდილობენ ფილიპინელები ტურისტების მიზიდვას.

გ) როდის აღმოაჩინეს კუნძულ ბოჰოლზე უცნაური ბორცვები.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ბორცვების წარმოშობის შესახებ რამდენიმე **ლეგენდა** არსებობს.

   ა) ვარაუდი. ბ) თქმულება. გ) მოსაზრება.

2. ბორცვი რიფების **ნაშთია**.

   ა) გროვა. ბ) ნარჩენია. გ) ჯგუფი.

3. **ზუსტად** არავინ იცის, როდის განდა ბორცვები.

   ა) დაახლოებით. ბ) თითქმის. გ) ნამდვილად.

4. ფილიპინელები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ტურისტი **მიიზიდონ**.

   ა) გააოცონ. ბ) დაინტერესონ. დ) გაართონ.

2 დაწერე ერთი სიტყვით:

რაიმეთი (მაგალითად, ბარით) მოჭრილი მიწის მოზრდილი ნაწილი არის

---.

3 რომელია ზედმეტი სიტყვა?

ა) ბუმბერაზი. ბ) ვეებერთელა. გ) ზორბა. დ) რთული. ე) უზარმაზარი.

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.

1. ეს (*მარჯანი*) ---------- რიფებია.

2. გორაკზე (*მოედანი*) ---------- მოწყობა გადაწყდა.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. კუნძულის მცხოვრებნი ყველაფერს აკეთებენ, ---------- ტურისტები მიიზიდონ.
   (რათა / რადგან)

2. ბორცვები გოლიათის ---------- წარმოიშვა.
   (ცრემლებიდან / ცრემლებისაგან)

გრამატიკა

3 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

[X] *ხალხი ამაყობენ.*	[ ] *ხალხი ამაყობს.*
1. [ ] ორი გოლიათი ცხოვრობდა.	[ ] ორი გოლიათი ცხოვრობდნენ.
2. [ ] მეცნიერთა ნაწილი თვლიან.	[ ] მეცნიერთა ნაწილი თვლის.
3. [ ] უამრავ ტურისტს მოსწონთ.	[ ] უამრავ ტურისტს მოსწონს.

4 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: რაც შექმნეს, არის შექმნილი.

1. რაც წარმოიქმნა, არის ----------.

2. რაც მოაწყვეს, არის ----------.

წერა

1 ტექსტში გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება შოკოლადის ბორცვების შესახებ. დაწერე, რომელია შენთვის უფრო დამაჯერებელი. ახსენი, რატომ.

---

2 დაფიქრდი, შენი კუთხის რომელი ადგილით დააინტერესებდი უცხოელ სტუმარს. შექმენი ტექსტი ამ ადგილის შესახებ. ამისათვის:

აღწერე შენ მიერ შერჩეული ადგილი ისე, რომ მკითხველს მოაწონო. დაწერე ლეგენდა ან მოსაზრება ამ ადგილის სახელწოდების შესახებ. გააფორმე შენი ნამუშევარი ნახატით.